

**სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში  
არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის  
ნორმატიული ფასი**

1. ქალაქ ბათუმში, სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დიფერენცირებულია ქ. ბათუმის ზონირების საფუძველზე შესაბამისი ზონების (ქვეზონების) მიხედვით, დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K, \text{ სადა:}$$

- ა)  $C_N$  - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;
- ბ)  $I_{MG}$  - არის ქ. ბათუმის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,75;
- გ)  $I_{TL}$  - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც განისაზღვრება:
  - გ.ა) ცენტრალური ზონის I ქვეზონისათვის - 1,5;
  - გ.ბ) ცენტრალური ზონის II ქვეზონისათვის - 1,4;
  - გ.გ) ცენტრალური ზონის III ქვეზონისათვის - 1,2;
  - გ.დ) შუალედური ზონისათვის - 1;
  - გ.ე) პერიფერიული ზონის I ქვეზონისათვის - 0,8;
  - გ.ვ) პერიფერიული ზონის II ქვეზონისათვის - 0,6;
  - გ.ზ) პერიფერიული ზონის III ქვეზონისათვის - 0,6;
  - გ.თ) პერიფერიული ზონის IV ქვეზონისათვის - 0,5;
- დ)  $C$  - არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა ტოლია 0,24 ლარის.
- ე)  $K$  - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი, რომლის ოდენობა დადგინდეს:
  - ე.ა) ცენტრალური ზონის I ქვეზონისათვის - 2200;
  - ე.ბ) ცენტრალური ზონის II ქვეზონისათვის - 1850;
  - ე.გ) ცენტრალური ზონის III ქვეზონისათვის - 1100;
  - ე.დ) შუალედური ზონისათვის - 920;
  - ე.ე) პერიფერიული ზონის I ქვეზონისათვის - 675;
  - ე.ვ) პერიფერიული ზონის II ქვეზონისათვის - 635;
  - ე.ზ) პერიფერიული ზონის III ქვეზონისათვის - 525;
  - ე.თ) პერიფერიული ზონის IV ქვეზონისათვის - 360.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ქალაქ ბათუმში, სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი ოდენობით:

ზონა (ქვეზონა)	$I_{MG}$	$I_{TL}$	$C$	$K$	$C_N$ (ლარი)
<b>ცენტრალური ზონა</b>					
I ქვეზონა	0,75	1,5	0,24	2200	594
II ქვეზონა	0,75	1,4	0,24	1850	466,2
III ქვეზონა	0,75	1,2	0,24	1100	237,6
<b>შუალედური ზონა</b>					
შუალედური ზონა	0,75	1	0,24	920	165,6
<b>პერიფერიული ზონა</b>					
I ქვეზონა	0,75	0,8	0,24	675	97,2
II ქვეზონა	0,75	0,6	0,24	635	68,58
III ქვეზონა	0,75	0,6	0,24	525	56,7
IV ქვეზონა	0,75	0,5	0,24	360	32,4